თავი 9

ფულადი საშუალებების აღრიცხვა – ტესტები

1. ფულად სახსრებს არ მიეკუთვნება:

ა) ბანკნოტები და მონეტები ეროვნულ ვალუტაში;

ბ) ბანკნოტები და მონეტები უცხოურ ვალუტაში;

გ) ინვესტიციები.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან, რომელს უნდა აკმაყოფილებდეს ინვესტიცია, რომ მივიჩნიოთ ფულადი სახსრების ექვივალენტად:

ა) დაფარვის მოკლე ვადა;

ბ) ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი;

გ) ერთდროულად ორივე ზემოთ ჩამოთვლილ პირობას.

3. გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება:

ა) წინასწარ გაწეული ხარჯი;

ბ) არამატერიალური აქტივები;

გ) დარიცხული მოთხოვნები.

4. კერძო სექტორის საწარმოში ფულადი ოპერაციებს აღრიცხვისა და კონტროლის სისტემას არეგულირებს:

ა) სახელმწიფო;

ბ) საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა;

გ) მთავარი ბულალტერი.

5. ამოარჩიეთ სწორი მსჯელობა:

ა) საწარმოს საკუთრებაში არსებულ ფულად სახსრებს განკარგავს ბულალტერი;

ბ) საწარმოს საკუთრებაში არსებულ ფულად სახსრებს განკარგავს საწარმოს ხელმძღვანელი;

გ) საწარმოს საკუთრებაში არსებული ფულად სახსრებს განკარგავს საწარმოს მოლარე.

6. სალაროს წიგნი წარმოადგენს:

ა) პირველად დოკუმენტს;

ბ) სამეურნეო ოპერაციების სარეგისტრაციო ანალიზურ ჟურნალს;

გ) სამეურნეო ოპერაციების სარეგისტრაციო სინთეზურ ჟურნალს.

7. მთავარი წიგნი წარმოადგენს:

ა) სამეურნეო ოპერაციების სარეგისტრაციო ანალიზურ ჟურნალს;

ბ) სამეურნეო ოპერაციების სარეგისტრაციო სინთეზურ ჟურნალს;

გ) სინთეზური ანგარიშების განმაზოგადებელ ჟურნალს.

8. ნაღდი ანგარიშწორებით შეძენილია 5.000 ლარის ნედლეული. ეს ოპერაცია საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება შემდეგნაირად:

ა) დ 1110 5.000
კ 1620 5.000

ბ) დ 1620 5.000
კ 1110 5.000

გ) დ 1620 5.000
კ 3110 5.000

9. 201X წლის 3 მაისს საწარმომ მოახდინა საქონლის კრედიტში რეალიზაცია, ხოლო თანხა მიიღო სალაროში 13 მაისს. აღწერეთ 13 მაისის ოპერაცია:

ა) დ 1410 ბ) დ 1210 გ) დ 1110
კ 1210 კ 1410 კ 1410

10. საწარმოს სალაროში ფულის შემოსვლა ფიქსირდება პირველადი დოკუმენტებით, რომელსაც ეწოდება:

ა) სალაროს შემოსავლის ორდერი;
ბ) სალაროს გასავლის ორდერი;
გ) საავანსო ანგარიში.

11. ამოარჩიეთ სწორი მსჯელობა:

ა) სარეგისტრაციო ანალიზური ჟურნალის – სალაროს ჟურნალში, ფულის ყოველი შემოსვლისა და გასვლის შესახებ, ჩანაწერს აკეთებს მოლარე;
ბ) სინთეზური ანგარიშების განმაზოგადებელი ჟურნალის მთავარი წიგნის წარმოება ხდება მოლარის მიერ;
გ) ორივე მსჯელობა სწორია.

12. ფულის მოძრაობის ანალიზური აღრიცხვა გადმოცემულია:

ა) მთავარ წიგნში;
ბ) ჟურნალ-ორდერში;
გ) სალაროს წიგნში.

13. საწარმოს სალაროდან გაცემულია 100ლ. ანგარიშვალდებულ პირზე სამეურნეო დანიშნულების ნივთების შესაძენად. ეს სამეურნეო ოპერაცია საწარმოს აღრიცხვაში აისახება შემდეგნაირად:

ა) დ 1430 100 ბ) დ 1790 100 გ) დ 7490 100
კ 1110 100 კ 1110 100 კ 1110 100

14. 20X2 წლის 5 მაისს საწარმოს სალაროდან ანგარიშვალდებულ პირზე, სამეურნეო დანიშნულების ნივთების შესაძენად გაცემულია 500 ლარი. რომელმაც ამავე წლის 6 მაისს, შეიძინა 480 ლარის ნივთები და გადახდის დამდატურებელ დოკუმენტთან ერთად წარმოადგინა სალაროში, ხოლო 20 ლარი უნდა დააბრუნოს სალაროში. ეს ოპერაცია აისახება შემდეგნაირად:

ა) 5.05 - დ 1790 500
კ 1110 500

6.05 - დ 7490 480
დ 1430 20
კ 1790 500

ბ) 5.05 - დ 1430 500
კ 1110 500

6.05 - დ 7490 480
კ 1430 480

გ) 5.05 - დ 1790 500
კ 1110 500

6.05 - დ 7490 480
კ 1790 500

15. საწარმოში ანგარიშვალდებული პირის არსებობას და მასთან ურთიერთობის წესებს განსაზღვრავს:

ა) მთავარი ბუღალტერი;
ბ) საწარმოს საღრიცხო პოლიტიკა;
გ) მეწარმეთა შესახებ კანონი.

16. უნაღდო ანგარიშწორების ფორმებს მიეკუთვნება:

ა) ანგრიშსწორება სალაროდან;

ბ) ანგარიშსწორება ბანკის მეშვეობით;

გ) ორივე პასუხი სწორია.

17. ანგარიშსწორება ჩეკების მეშვეობით წარმოადგენს:

ა) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმას;

ბ) ნაღდი ანგარიშსწორების ფორმას;

გ) ინდივიდუალური ანგარიშსწორების ფორმას.

18. 20X2 წლის 31 იანვრის ბანკის ამონაწერის თანახმად საწარმოს საბანკო ანგარიშიდან ჩამოჭრილი აქვს 20 ლარი, რომელიც წარმოადგენს ბანკის იანვრის თვის მომსახურების საკომისიოს. როგორ გაატარებდა ამ სამეურნეო ოპერაციას საწარმოს ბუღალტერი:

ა) დ 7490 20ლ
კ 1210 20ლ

ბ) დ 3110 20ლ
კ 1210 20ლ

გ) დ 3190 20ლ
კ 1210 20ლ

19. საბანკო ანგარიშიდან დაიფარა გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი: შესაბამის საბუღალტრო მუხლს ექნება სახე:

ა) დ 4140
კ 1210

ბ) დ 3230
კ 1210

გ) დ 3210
კ 1210

20. საწარმოს საბანკო ანგარიშიდან ანგარიშსწორება ხორციელდება:

ა) საგადახდო დავალების მეშვეობით;

ბ) ბანკის ამონაწერის მეშვეობით;

გ) ორივე პასუხი სწორია.

21. დოკუმენტი, რომელიც საწარმოს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია საკუთარ ანგარიშზე ფულის მოძრაობის შესახებ, არის:

ა) საგადახდო დავალება;

ბ) ბანკის ამონაწერი (ავიზო);

გ) საბანკო ანგარიშის ჟურნალ-ორდერი.

22. საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერ საშუალებას (ლარი) განსაზღვრავს:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება – საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ.

ფულადი საშუალებების აღრიცხვა – ამოცანები

ამოცანა №1

ქვემოთ მოცემულია შპს „X"-ის 20X2 წლის 10 იანვრის ოპერაციები:

დავალება: ამობეჭდეთ ჩვენს მიერ მოწოდებული ფორმები და ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციების მიხედვით შეავსეთ:

1) პირველადი დოკუმენტები:
   ა) სალაროს შემოსავლის ორდერი;
   ბ) სალაროს გასავლის ორდერი.
2) სარეგისტრაციო ანალიზური ჟურნალი (სალაროს ჟურნალი);
3) გადაიტანეთ ყოველდღიური ინფორმაციები მთავარი წიგნის ანგარიშებზე (ანგ. № 1110-ის ჟურნალ-ორდერში).

10 იანვრის ოპერაციები:

ჩათვალეთ რომ სალაროს საწისი ნაშთი 10.01.20X2 წლისათვის არის 0.

სალაროს შემოსავლის ორდერი №1 – მიღებულია საბანკო ანგარიშიდან ჩეკით №358911 ხელფასისათვის 2.000 ლარი, ირაკლი სიგუას მიერ.

სალაროს გასავლის ორდერი №1 – გაცემულია ხელფასი 1.500 ლარი, უწყისი №12.

სალაროს შემოსავლის ორდერი №2 – მიღებულია დებიტორისაგან (წერეთელი ლია) 3.000 ლარი

სალაროს გასავლის ორდერი №2 – გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე (ჟვანია ევგენიზე) სამეურნეო ხარჯებისათვის 300 ლარი.

სალაროს შემოსავლის ორდერი №3 – მიღებულია (აბაშიძე ანასგან) საქონლის რეალიზაციიდან 1.000 ლარი.

სალაროს გასავლის ორდერი №3 – შეტანილია საბანკო ანგარიშზე 3.000 ლარი, ქვითარი №3110, ირაკლი სიგუას მიერ.

სალაროს გასავლის ორდერი №4 – შეძენილი იქნა მასალები 700 ლარის, ინდ/მეწარმე „გურამ ანდრიაძე"-სგან. ფული გადახდილია სალაროდან

დამატებითი მონაცემები:

ევგენი ჟვანია – პ/მ № ბ.0708088, გაცემულია ქუთაისის შს განყოფილების მიერ 08.09.20X0 წელს. პ/ნ – 60001079899.

გურამ ანდრიაძე – პ/მ № ბ.0401068, გაცემულია ქუთაისის შს განყოფილების მიერ 01.02.20X1 წელს. პ/ნ – 60001061098.

ირაკლი სიგუა – პ/მ № ბ.0005077, გაცემულია ქუთაისის შს განყოფილების მიერ 03.02.20X2 წელს. პ/ნ – 60001068717.

ამოცანა №2

შპს "X"-ში 20X2 წლის დეკემბრის თვეში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

20X2 წლის 1 დეკემბრისათვის სალაროში ნაშთი იყო 170 ლარი.

02.12 - სალაროს შემოსავლის ორდერი №30 - *გამოტანილია ჩეკით №3370 საბანკო ანგარიშიდან ხელფასებისათვის 500 ლარი ირაკლი სიგუას მიერ.*

02.12 - სალაროს შემოსავლის ორდერი №31 - *მიღებულია ამირან მესხისაგან საქონლის ღირებულება 1.000 ლარი.*

02.012 - სალაროს გასავლის ორდერი №49 - *გაცემულია ხელფასი უწყისი №11-ით მუშებზე 300 ლარი.*

02.12 - სალაროს გასავლის ორდერი №50 - *შეტანილია საბანკო ანგარიშზე ნავაჭრი თანხა 1200 ლარი ირაკლი სიგუას მიერ ქვითარი №3708.*

03.12 - სალაროს შემოსავლის ორდერი №32 - *გამოტანილია საბანკო ანგარიშიდან 200 ლარი სამეურნეო ხარჯებისათვის თამარ დევიძის მიერ. ჩეკი №3371.*

03.12 - სალაროს გასავლის ორდერი №51 - *გაიცა ანგარიშვალდებულ პირზე, ირაკლი სიგუაზე, სამეურნეო ხარჯებისათვის 300 ლარი. მათ შორის: სატელეფონო საუბრების ღირებულება – 100ლ; საკანცელარიო ნივთების ღირებულება – 180ლ.*

04.12 - სალაროს შემოსავლის ორდერი №33 - *მიღებულია საბანკო ანგარიშიდან (ჩეკი №3372-ით) 230 ლარი თამარ დევიძის მიერ.*

04.12 - სალაროს გასავლის ორდერი №52 - *გაიცა ირაკლი სიგუაზე კომუნალური მომსახურების ღირებულების გადასახდელად 210 ლარი.*

04.12 - სალაროს შემოსავლის ორდერი №34 - *მომსახურების გაწევისთანავე მომხმარებლის, ზვიად ადეიშვილისაგან მიღებულია 420 ლარი.*

04.12 - სალაროს გასავლის ორდერი №53 - *გადახდილია 100 ლარი თამარ დევიძეზე ადგილობრივ გაზეთში რეკლამის განთავსებისათვის.*

05.12 - სალაროს შემოსავლის ორდერი №35 - *ვაჟა ნებიერიძისაგან, საწესდებო კაპიტალის შესავსებად მიღებულია 300 ლარი.*

დავალება: *ამობეჭდეთ ჩვენს მიერ მოწოდებული ფორმები და ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების მიხედვით შეავსეთ:*

1) *პირველადი დოკუმენტები:*
   - *ა) სალაროს შემოსავლის ორდერი;*
   - *ბ) სალაროს გასავლის ორდერი.*
2) *სარეგისტრაციო ანალიზური ჟურნალი;*
3) *გადაიტანეთ ყოველდღიური ინფორმაციები მთავარი წიგნის ანგარიშებზე (ანგ. № 1110-ის ჟურნალ-ორდერში);*
4) *შეავსეთ საავანსო ანგარიში;*

დამატებითი მონაცემები:

ირაკლი სიგუა *– პ/მ № ბ. 0605077 გაცემული ქუთაისის შს განყოფილების მიერ 03.02.20X0 წელს. პ/ნ - 60001068717.*

თამარ დევიძე *– პ/მ № ა. 0603025 გაცემული ქუთაისის შს განყოფილების მიერ 14.11.20X3 წელს. პ/ნ – 60001061612.*

საავანსო ანგარიშის შესავსებად გამოიყენეთ შემდეგი ინფორმაცი:

ანგარიშ-ვალდებულმა პირმა, ირაკლი სიგუამ, განახორციელა შემდეგი გადახდები:

1) ***04 დეკემბერი*** *– შპს "ახალი ქსელები" მოწოდებული მომსახურების ღირებულება 100 ლარი. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი – ქვითარი №256, შპს "ახალი ქსელები"-დან სიგუას მიაწოდეს ანგარიშ-ფაქტურა №604050;*

2) ***05 დეკემბერი*** *– შპს "ორგსერვისი"-დან შეიძინა 180 ლარის საკანცელარიო ნივთები. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი – ქვითარი №231, შპს "ორგსერვისი"-ს ბუღალტერმა გამოწერა სასაქონლო ზედნატები №1256;*

3) ***08 დეკემბერი*** *– შპს "ანკარა" მოწოდებული მომსახურების ღირებულება 220 ლარი. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი – ქვითარი №545, ანგარიშ-ფაქტურა №161628.*

ამოცანა №3

20X2 წლის იანვრის თვის ამონაწერი შპს „იმედი"-ს საბანკო ანგარიშიდან.

ამონაწერი 01/01/20X2 წ - 31/01/20X2 წ

ს/ს "საქართველოს ბანკი" - მფო: BAGAGE22; ანგარიში: GE48BG0525804755013602; საიდენტიფიკაციო კოდი - 212450682

საწყისი ნაშთი: 4327.00 ლარი

თარიღი	ოპერაციის მოკლე შინაარსი	ბრუნვა (დებეტი)	ბრუნვა (კრედიტი)	ნაშთი	სამუშაო სვეტი
03.01.20X2	ჩარიცხულია რეალიზებული საქონლის ღირებულება		5260.00		
03.01.20X2	ჩამოწერილია ანგარიშიდან ბანკის მოკლევადიანი სესხის დასაფარავად	3100.00			
03.01.20X2	გაცემულია ჩეკით №128301	20.00			
03.01.20X2	გადაერიცხა ავტობაზას №287 ანგარიშ-ფაქტურით	341.00			
05.01.20X2	ჩარიცხულია ბანკის მოკლევადიანი სესხი		1800.00		
05.01.20X2	გაცემულია ჩეკით №128302	5680.00			
05.01.20X2	გადაერიცხა ენერგოგასაღებას №1260 ანგარიშ-ფაქტურით	1080.00			
05.01.20X2	გადაერიცხა ბიუჯეტს საშემოსავლო გადასახადი	421.00			
10.01.20X2	ჩარიცხულია რეალიზებული საქონლის ღირებულება		17380.00		
10.01.20X2	ჩარიცხულია ბანკის მოკლევადიანი სესხი		1600.00		
10.01.20X2	გადაერიცხა მასალებისათვის №388 ანგარიშ-ფაქტურით შპს "გიორგი"-ს	12532.00			

10.01.20X2	გაცემულია ჩეკით №128302	50.00			
19.01.20X2	ჩარიცხულია რეალიზებული საქონლის ღირებულება		10360.00		
19.01.20X2	გადაერიცხა ავტობაზას №41 ანგარიშ-ფაქტურით	53			
19.01.20X2	ჩამოწერილია ანგარიშიდან ბანკის მოკლევადიანი სესხის დასაფარავად	900.00			
19.01.20X2	გაცემულია ჩეკით №312804	4940.00			
19.01.20X2	გადაერიცხა ბიუჯეტს საშემოსავლო გადასახადი	872.00			
19.01.20X2	გადაერიცხა მთავარმომარაგებას №389 ანგარიშ-ფაქტურით	346.00			
28.01.20X2	გადაერიცხა ავტობაზას №352 ანგარიშ-ფაქტურით	72.00			

საბოლოო ნაშთი: ---------- ლარი

დავალება:

1) *მოცემული ოპერაციების მიხედვით დაამუშავეთ ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, მიუთითეთ მოკორესპოდენტო ანგარიშები (გამოიყენეთ სამუშაო სვეტი);*
2) *გამოიყვანეთ ყოველი დღის ბოლოს ნაშთები;*
3) *შეადგინეთ საბანკო ანგარიშის ჟურნალ-ორდერი;*
4) *შეავსეთ №1 საგადახდო დავალება შპს „ავტობაზისათვის“, (საიდენტიფიკაციო კოდი – 212804137; ანგ. № GE92TB0525804755013602), მფო: TBCBGE22, მოწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება (ანგარიშ-ფაქტურა №287).*

ამოცანა №4

20X2 წლის იანვრის თვის ამონაწერი შპს „X“-ს საბანკო ანგარიშიდან.

ამონაწერი 01/03/20X2 წ - 31/03/20X2 წ

ს/ს "საქართველოს ბანკი" - მფო: BAGAGE22; ანგარიში: GE35BG2589631458521402; საიდენტიფიკაციო კოდი - 212852965

საწყისი ნაშთი: 500.00 ლარი

თარიღი	ოპერაციის მოკლე შინაარსი	ბრუნვა (დებეტი)	ბრუნვა (კრედიტი)	ნაშთი	სამუშაო სვეტი
02.03.20X2	ჩარიცხულია დამკვეთისგან ავანსი		6000.00		
05.03.20X2	გაცემულია ჩეკით №128316	1000.00			
10.03.20X2	ჩამოწერილია ანგარიშიდან ბანკის მომსახურების ღირებულება	20.00			
14.03.20X2	გადაერიცხა ბიუჯეტს 20X1 წლის მოგების გადასახადი	200.00			
20.03.20X2	გადაერიცხა ბიუჯეტს 20X1 წლის ქონების გადასახადი	150.00			

23.03.20X2	გადაერიცხა ბიუჯეტს საშემოსავლო გადასახადი	126.00			
27.03.20X2	ჩამორიცხულია რეალიზებული საქონლის ღირებულება		2000.00		

საბოლოო ნაშთი: _____ **ლარი**

<u>დავალება:</u>

1) *მოცემული ოპერაციების მიხედვით დაამუშავეთ ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, მიუთითეთ მოკორესპოდენტო ანგარიშები (გამოიყენეთ სამუშაო სვეტი);*
2) *გამოიყვანეთ ყოველი დღის ბოლოს ნაშთები;*
3) *შეადგინეთ საბანკო ანგარიშის ჟურნალ-ორდერი;*
4) *14 მარტს გადარიცხულია 20X1 წლის მოგების გადასახადი 200.00 ლარი. შეავსეთ საგადახდო დავალება №15. მიმღების რეკვიზიტები: (<u>**სახელმწიფო ხაზინა:**</u> ანგ. № 220122900; მფო: - TRESGE22. საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - 100181020).*